პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОМУНИСТИ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 მარტი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 61 (15274)

თვითეული კომუნისტის მოვალეობაა ყოველნაირად განამტკიცოს მასებში იმის შეგნება, რომ ეკუთვნიან ერთიან სოციალისტურ სამშობლოს, ახალი საზოგადოების მშენებელთა დიად ინტერნაციონალურ არმიას. საჭიროა კვლავაც გავწიოთ გულმოდგინე მუშაობა მშრომელთა აღზრდისათვის ყველა ერისა და ეროვნებისადმი ღრმა პატივისცემის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გადმონაშთებისადმი, კუთხურობის გამოვლინებებისადმი შეუწყნარებლობის სულისკვეთებით, თანმიმდევრულად უზრუნველვყოთ კლასობრივი, ზუსტი მეცნიერული მიდგომა ხალხთა ისტორიის შეფასებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ“.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲕᲐᲠᲗᲝᲛᲐ იმ საკითხთა წრე, რომელთაც ამშავებს პარტიის საქალაქო კომიტეტი. ქალაქის ეკონომიკა და კულტურა, მისი მოსახლეობის შრომა და ყოფაცხოვრება, ადამიანთა კომუნისტური აღზრდა, სოციალური განვითარების პრობლემები — ყოველივე ეს მუდამ არის საქალაქო კომიტეტის თვალთახედვის არეში. პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოს რომ წარმოადგენს, იგი ეწევა მრავალმხრივ მუშაობას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად.

ჩვენი პარტია მუდმივ ყურადღებას უთმობს პარტიული მშენებლობისა და ხელმძღვანელობის საკითხებს, ზრუნავს მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე თავისი ადგილობრივი ორგანოებისა და პირველადი ორგანიზაციების ზემოქმედების გაძლიერებისათვის. სწორედ ასეთი ზრუნვით არის ნაკარნახევი, კერძოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაცია ბევრ რამეს აკეთებს, რათა დარაზმოს კომუნისტები, ყველა მშრომელნი მეცხრე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის. ქალაქის მრეწველობამ წარმატებით გაანაღდა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საერთო მოცულობის 1971 წლის გეგმა, ათვისებულია ახალი მანქანები, მოწყობილობის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. ამასთანავე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დონე აქ ჯერ კიდევ სრულად ვერ შეესაბამება XXIV ყრილობის მოთხოვნებსა და იმ ამოცანებს, რომლებსაც უნდა წყვეტდეს საქალაქო პარტიული ორგანიზაცია. საქალაქო კომიტეტი საკმარისად არ ითვალისწინებს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის სპეციფიკას, ყოველთვის როდი აქვს თვალთახედვის არეში მუშაობის ყველაზე საყურადღებო უბნები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთლიანად რესპუბლიკისთვისაც. თავის პოლიტიკურ და ორგანიზატორულ საქმიანობაში სუსტად იყენებს მუშათა კლასის, მეცნიერულ-ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის, გამოცდილი კადრების მრავალრიცხოვანი რაზმის, განვითარებული ინდუსტრიული ბაზისა და კულტურის დაწესებულებათა ქსელის შესაძლებლობებს. მთელ რიგ შემთხვევებში საერთო კარგი მაჩვენებლების მიღმა საქალაქო კომიტეტი ვერ ამჩნევს არსებით ნაკლოვანებებს წარმოების, კაპიტალური მშენებლობისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციაში. კადრებთან მუშაობაში ყოველთვის როდი ითვალისწინებენ პარტიის მოთხოვნებს. პრობაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სუსტად არის დაკავშირებული ცხოვრებასთან. მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში სათანადო მნიშვნელობა არ ენიჭება მშრომელთა, განსაკუთრებით ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას. სუსტად წარმოებს ბრძოლა სახელმწიფო საკუთრების დატაცების, სპეკულაციის, მექრთამეობის, მუქთახორობის წინააღმდეგ. საქალაქო კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას უთმობს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების ორგანიზაციასა და შეფასებას.

ცენტრალურმა კომიტეტმა ყოველმხრივ განიხილა საქმის ვითარება საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში და განსაზღვრა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის საქალაქო კომიტეტის, რაიონული კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი ყოველმხრივი გაუმჯობესების გზები.

თბილისის საქალაქო კომიტეტის საქმიანობაში აღნიშნული ბევრი პლუსი და მინუსი სხვა პარტიულ კომიტეტებსაც ახასიათებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელიც ცოცხალი ყოველდღიური პრაქტიკის საფუძვლიანად შესწავლისა და განზოგადების შედეგია, დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ხელმძღვანელობს რა მასში მოცემული გამოცდილებითა და დასკვნებით, თვითეულმა საქალაქო თუ რაიონულმა კომიტეტმა ღრმად უნდა გაუკეთოს ანალიზი თავის მუშაობას, დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ სიტემატურად, დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით ხრულყოს ეკონომიკის, კულტურის, ადამიანთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები.

პარტიული კომიტეტების, პირველადი ორგანიზაციების უპირველესი საზრუნავია უზრუნველყონ მიმდინარე წლისა და მთლიანად მეცხრე ხუთწლედის დავალებათა, კოლექტივების მიერ ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება. ამისათვის საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობა, გავაუმჯობესოთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია. პარტიის საქალაქო კომიტეტების პირდაპირი მოვალეობაა აამაღლონ სამეურნეო ხელმძღვანელობის, კომუნისტების, შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმების დროულად შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის განუხრელი ამაღლებისათვის ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე. უნდა გავაძლიეროთ კონტროლი ეკონომიკის დარგში, დაუცხრომლად დავნერგოთ პარტიული მიდგომა სამეურნეო ამოცანების შესრულებისადმი, პრინციპულად ვიბრძოლოთ ეკონომიურ საქმიანობაში უწესებრივი შეზღუდულობისა და კუთხურობის გამოვლინებათა წინააღმდეგ.

მკაფიოდ და გასაგებად რომ უწევენ პროპაგანდას პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან ხაზი გაუსვან, რომ ჩვენი გეგმების წარმატებით განხორციელება საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია თვითეულის აქტივობაზე, საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომაზე, შეუპოვარ შრომაზე. ქალაქებსა და სოფლებში ჩაედება მზადება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ამ დიდ, პასუხსაგებ საქმეს. მისი ღირსი უნდა გახდეს საბჭოთა ადამიანების აღზრდა ხალხთა ძმური მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. საჭიროა პარტიული ზემოქმედების ყველა საშუალებით დაუფიროთ მხარი შრომითი კოლექტივების სასარგებლო თაოსნობებს, რომლებიც დღესასწაულს ეძღვნება.

ხელმძღვანელობის დონის ამაღლება წარმოუდგენელია, თუ არ გავაუმჯობესეთ მუშაობა კადრებთან. პარტიის საქალაქო კომიტეტი მოვალეა განუხრელად იცავდეს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინურ პრინციპებს და დღესაოდგ ზრუნავდეს იმისათვის, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო საქმიანობის ყველა უბანს სათავეში ედგნენ პოლიტიკურად მოწიფული, პროფესიულად მომზადებული, უნარიანი ორგანიზატორები. მარჯვედ უნდა ვიყენებდეთ პოლიტიკური და ეკონომიური სწავლების სხვადასხვა ფორმებს, რათა შევიარაღოთ კადრები ხელმძღვანელობის თანამედროვე ცოდნითა და მეთოდებით, განვუვითაროთ მათ ახლის გრძნობა, მიღწეულის კრიტიკულად შეფასების უნარი.

მთელ თავის მუშაობას პარტიის საქალაქო კომიტეტი წარმართავს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებზე, ფართო აქტივზე დაყრდნობით. მათს გამოცდილებას რომ სწავლობს და განაზოგადებს, კომიტეტი ეხმარება კომუნისტებს გაძლიერონ პარტიის ძირითადი რგოლების ბრძოლისუნარიანობა. საქალაქო პარტიული ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვანი საზრუნავი ის არის, რომ განუხრელად დაიცვას პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები, თანმიმდევრულად განვითაროს შინაპარტიული დემოკრატია, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა.

საქალაქო კომიტეტები პარტიული ხელმძღვანელობის მთელი სისტემის განუყოფელი ნაწილია. დღესაოდგ უნდა განვამტკიცებდეთ მათს კავშირს მასებთან, სრულყოფდეთ მუშაობის სტილსა და მეთოდებს.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

13 მარტის მოწინავე

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესასვლელად

ᲔᲠᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲘᲗ





სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ“ აღნიშნულია: „საბჭოთა ხალხის გმირულ ღონისძიებებს ღირსეულად აგვირგვინებს სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება, სადაც:

განვითარების მაღალ დონეს მიაღწია საერთო-საკავშირო ეკონომიკამ, — შეკავშირებულმა სახალხო-სამეურნეო კომპლექსმა, რომელშიც შედის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობა და რომელიც ვითარდება ერთიანი სახელმწიფო გეგმით მთელი ქვეყნისა და თვითეული რესპუბლიკის ინტერესებისათვის...“

ამას დამჯერებლად ადასტურებს ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან საკავშირო კორესპონდენტთა მიერ გამოგზავნილი ცნობები. ამ ცნობებში ლაპარაკია საბჭოთა რესპუბლიკების შრომითი წარმატებების, მათი მუდმივი მჭიდრო ურთიერთობის, კომუნისტურ მშენებლობაში ერთობლივი წვლილის შესახებ.

რუსეთი:

200 მისამართით

ᲑᲠᲐᲢᲡᲚᲘᲡ ხე-ტყის ქიმიკოსებმა ვადამდე შეასრულეს მაისისის (სომხეთი) ქაღალდის ფაბრიკისათვის, საქართველოს ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატისა და უკრაინის ქერჩის მინის ტარის ქარხნისათვის სატარე მუყაოს მიწოდების ორი თვის დავალება. უკვე შესრულდა კვარტალური შეკვეთა სკიპიდარზე, რომელიც ყაზახეთიდან, აკემხლატენსკის ტყავ-ბეწვეულის გაერთიანებიდან მოდის.

თითქმის ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში, რუსეთის ათ მხარესა და ოლქში — 200-ზე მეტი მისამართით იგზავნება ბრატსკის ხე-ტყის ქიმიკოსებისა და უკრაინის ტსკის ხე-ტყის მრეწველობის კომპლექსის პროდუქცია.

უკრაინა აქ გზავნის ტრანსფორმატორებს, საქართველო — ავტომანქანებს, ყაზახეთი — კაბელს, უზბეკეთი — საღებავებს, ესტონეთი — ელექტრომოწყობილობას.

Მ. ᲡᲝᲠᲝᲕᲘᲩᲙᲝ.

ᲑᲠᲐᲢᲡᲚᲘ.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ:

ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲗᲘᲗ ᲛᲔᲢᲙᲘᲪᲔ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡ ღონინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის 100 წლისთავის ზეიმში მონაწილეობდა რუსთაველ მეტალურგთა დელეგაცია. ქართველ სტუმართა შორის იყო სახელგანთქმული მეტალურგი ვანო მეტრეველი, რომელიც მეოთხედი საუკუნის წინათ დონეცკელ ოსტატ ნიკოლოზ ბიჩკოვთან სწავლობდა.

ომის შემდგომ წლებში, როცა მტკვრის ნაპირას გაჩაღდა მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა, საფუძველი ჩაეყარა უკრაინელ და ქართველ მეტალურგთა მეგობრობას. მომმე რესპუბლიკამ მაშინ დონბასში გამოუგზავნა ორი ათასზე მეტი ახალგაზრდა, რომლებიც აქ დაეუფლნენ მებრძმედის, მეფოლადის, მგლინავის პროფესიებს. ვარდიშ კობერიძის, მიხეილ გორდაშვილის, ბევრ სხვა ქართველ ნოვატორთა წარმატებანი ახლა ახარებს მათ მასწავლებლებს დონბასში, ენაკიევოში, მაკეევკაში, კომუნარსკში, სადაც ქართველმა მეფოლადეებმა თავიანთი შრომითი გზა დაიწყეს.

ხოლო რუსთავის, დონეცკისა და ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნების კოლექტივებმა დიდი ხნის წინათ დაიწყეს შეჯიბრება, რომელიც ახლა ტრადიციული გახდა. წელიწადში ორჯერ ისინი ჩადიან ერთმანეთთან, უზიარებენ გამოცდილებას, ტექნიკურ ინფორმაციას. და მუდამ ასეთი მეხვდრები მეგობრობის ნადნობით მთავრდება.

Ა. ᲚᲔᲘᲙᲘᲜᲘ.

ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხნის კოლექტივი მუშაობს 500 და 800 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბოგენერატორების ხერხული გამოშვების ათვისებაზე, ეს 500-ათასკილოვატიანი სიმძლავრის ტურბინა, რომელსაც მარცხნივ სურათზე ხედავთ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უნდა გაიგზავნოს.

ᲢᲝᲣᲛᲔᲜᲘ—ᲢᲝᲛᲑᲝᲚᲡᲙᲘ—ᲡᲣᲠᲒᲣᲢᲘᲡ რკინიგზის მაგისტრალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამშენებლო ობიექტია დასავლეთ ციმბირში. ეს 700-კილომეტრიანი ტრასა მიაღწევს ტიუმენის ოლქის ჩრდილოეთში მდებარე ნავთობის მდიდარ საბადოებამდე.

მშენებლები ტაიგას უტევენ. რკინიგზის ხაზი უკვე 500 კილომეტრზე გადაიჭიმა. სურათზე მარჯვნივ — წინ მიიწევს ტიუმენი—ტობოლსკი—სურგუტის რკინიგზის მაგისტრალი.

ფოტო პ. ფედოტოვისა და ი. სპრეტკოვისა.

(საკავშირო ფოტოქრონიკა).

მიწათმოქმედთა შეჯიბრების დევიზია:

ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲣᲕᲣᲠᲝᲗ ᲥᲐᲚ-ᲦᲝᲜᲔ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲔᲕᲐᲓ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა საქმიანად გადასინჯეს ხუთწლედის მეორე წლისათვის წინათ ნაკისრი ვალდებულებანი და, ისწრაფვიან რა დაძლიონ ხანგრძლივი სუსხიანი ზამთრით გამოწვეული სიძნელენი, გადაწყვეტეს მაქსიმალურად გამოიყენონ ძველი რეზერვები და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი.

ისევე როგორც წინათ, მთავარი ყურადღება დაეთმობა რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების წამყვან დარგს — მევენახეობას. **გეგმით გათვალისწინებული 355 ჰექტარის ნაცვლად წელს გააშენებენ 400 ჰექტარ ზვარს, ამასთან დარგავენ საკუთარი წარმოების კალმებს. გურჯაანელები დაამყნიან 6,2 მილიონ ვაზს, მაქსიმალურად შეამცირებენ ვენახების სიმეჩხრეს, დარგავენ 600 ათას ძირს.**

მნიშვნელოვნად გაიზრდება ბოლო ხანებში მოსავლიანობა. **გადაწყვეტილია საშუალოდ ჰექტარზე მოიწიონ 55 ცენტნერი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 51 ცენტნერის ნაცვლად. ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება — მოიწიონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 70 ათასი ტონა ყურძენი ნაცვლად 55 ათასი ტონისა.**

გურჯაანელი მიწათმოქმედნი და მეცხოველენი ყურადღებას უთმობენ სხვა დარგებსაც. მათ გადაწყვეტეს თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 20 ცენტნერი მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 14,7 ცენტნერის ნაცვლად. სულ აწარმოონ 11.200 ტონა მარცვლეული, გეგმაზე 1.300 ტონით მეტი. სახელმწიფოს მიეყიდება 2.400 ტონა მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 1.800 ტონის ნაცვლად.

რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობანი სახელმწიფოს მიჰყიდიან 1.940 ტონა ბოსტნეულს, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 1.640 ტონა, 1.800 ტონა ხილს, დავალებაზე 250 ტონით მეტს, 60 ტონა პირველი გამოკვების აბრეშუმის პარკს, გეგმაზე ორი ტონით მეტს.

მარცვლეული და საკვები კულტურების წარმოების გადიდების, ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა გაუმჯობესების გზით წარმოებული იქნება: ხორცი — 1.360 ტონა, რძე — 3.660 ტონა, კვერცხი 1,5 მილიონი ცალი და მატყული —540 ცენტნერი. სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალება შესრულდება 1 დეკემბრისათვის.

სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა სახელმწიფოს მიჰყიდოს 6.000 ტონა ყურძენი 4.950 ტონის ნაცვლად.

გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ გადაწყვიტა ჩაბაროს სახელმწიფოს 3.500 ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 2.767 ტონის ნაცვლად, ხუთწლიანი გეგმა კი შეასრულოს ოთხ წელიწადში.

სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ბრიგადამ, რომელსაც ჯ. მესხი ხელძღვანელობს, ვალდებულება იკისრა 40 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიწიოს 110 ცენტნერი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 70 ცენტნერის ნაცვლად.

ჭანდრის კოლმეურნეობის წევრის ვ. ლაზაშვილის ბრიგადამ გადაწყვიტა თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 80 ცენტნერი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 59 ცენტნერის ნაცვლად.

მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის პირველმა აგროგანყოფილებამ ვალდებულება იკისრა 397 ჰექტარი საერთო ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწიოს 80 ცენტნერი მოსავალი გეგმით გათვალისწინებული 65 ცენტნერის ნაცვლად.

შაშიანის კოლმეურნეობის წევრის რომან ტატიშვილის რგოლმა გადაწყვიტა 16 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 90 ცენტნერი ყურძენი, გეგმაზე 7 ცენტნერით მეტი.

სოფელ არაშენდის კოლმეურნეობა თვითეულ ჰექტარზე გალეწავს 18 ცენტნერ ხორბალს, 20 ცენტნერ ქერს, მოიწევს 25 ცენტნერ სიმინდის მარცვალს, სულ აწარმოებს 16.773 ცენტნერ მარცვალს.

სოფელ შაშიანის კოლმეურნეობა 70 ჰექტარი სიმინდიან ყანის თვითეულ ჰექტარზე მოიწევს 30 ცენტნერ მარცვალს, ა. ჩეკურიშვილის რგოლი კი 35 ცენტნერს.

ᲐᲛᲘᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ პირველი დღეებიდანვე **ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ** მშრომელებმა გააჩაღეს შეჯიბრება ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა შესრულებისათვის. ისინი ისწრაფვიან შეასრულონ ნაკისრი მაღალი ვალდებულებანი.

თერჯოლელმა მევენახეებმა გადაწყვიტეს მოიწიონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 19.300 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 16.590 ტონის ნაცვლად. ზვრების საშუალო მოსავლიანობა გაადიდონ 40 ცენტნერამდე, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 36 ცენტნერი.

ახალი ვენახები დაიკავებენ 130 ჰექტარს, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებულია 100 ჰექტარის გაშენება. **ვენახების სიმეჩხრის ლიკვიდაციის მიზნით დაირგება 150 ძირი ვაზი.** მეტი ყურადღება დაეთმობა სანერგეებსა და სადედეებს. წელს თერჯოლელები აგროტექნიკურ ვადებში დაამყნიან და დარგავენ სანერგეებში 2.300 ათას კალმს, მიიღებენ სულ ცოტა 40 პროცენტ პირველი ხარისხის ნერგს.

სოფელ თუზის კოლმეურნეობა თვითეულ ჰექტარზე მოიწევს 63 ცენტნერ ყურძენს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 51 ცენტნერისა, **სოფელ ზედა საზანოს** კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“ აწარმოებს 3 ათას ცენტნერ ყურძენს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.850 ცენტნერისა, ამავე სოფლის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობა — 2.800 ცენტნერს, დაბა თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა — 2.850 ცენტნერს, სოფელ რუფოთის კოლმეურნეობა — 4.000 ცენტნერს, სოფელ სიქთარვის კოლმეურნეობა — 3.500 ცენტნერს.

სოფელ ზედა საზანოს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ № 1 ბრიგადა მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიწევს 90 ცენტნერ ყურძენს, სოფელ თუზის კოლმეურნეობის № 9 ბრიგადა — 95 ცენტნერს, დაბა თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის № 3 ბრიგადა — 80 ცენტნერს, სოფელ რუფოთის კოლმეურნეობის № 2 ბრიგადა — 80 ცენტნერს, სოფელ სიქთარვის კოლმეურნეობის № 6 ბრიგადა — 90 ცენტნერს, ხოლო ამავე კოლმეურნეობის ო. სირბილაძისა და ი. რობაქიძის რგოლებმა იკისრეს ვალდებულება ჰექტარზე მოიწიონ 110-120 ცენტნერი ყურძენი.

რაიონის მოწინავე მევენახეებმა ი. კაპანაძემ, დ. ბერუაშვილმა, ვ. კოვზირიძემ, უ. ნემსაძემ, ს. გამსახურდაშვილმა, ბ. ქველიაშვილმა, შ. მაჩიტიძემ, ე. ჩაფიჩიძემ, გ. კუპატაძემ და გ. მაჩიტიძემ პირობა დაიდეს მოიწიონ ჰექტარზე 120-130 ცენტნერი ყურძენი.

საქართველოს მევაზეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქარის ვ. ა. სტაროსელსკის სახელობის საცდელი სადგურის თანამშრომელთა კოლექტივმა იკისრა შეფობა გაუწიოს მეცნიერთა მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას რაიონის ვენახებში.

სოფელ ზედა საზანოს საშუალო სკოლა კისრულობს ვალდებულებას დაამუშაოს 10 ჰექტარი ვენახი და მოიწიოს მოსავალი ამ ფართობზე „კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“.

იმისათვის, რომ შეასრულონ ვალდებულებანი, თერჯოლელი მევენახეები ფართოდ იყენებენ აგროლოსისძიებათა სრულ კომპლექსს, რომელიც ითვალისწინებს მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენებას, აქტიური ბრძოლას ვაზის მავნებლითა და დაავადებათა წინააღმდეგ, შრომატევად პროცესთა მექანიზაციის დანერგვას და სხვ.

თერჯოლის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები გადაჭარბებით შეასრულებენ აგრეთვე ბოსტნეულის წარმოების დავალებას. სახელმწიფოს მიჰყიდიან 310 ტონა ბოსტნეულს.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲨᲔᲥᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ.





ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ, ᲛᲣᲨᲔᲜᲔᲚᲗᲐᲗᲐ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲗᲐᲗᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მომზადების შესახებ“.

პარტიულ ორგანიზაციებში

□ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲘᲗ 18 ᲙᲐᲪᲘ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ ᲛᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲚᲔᲠ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲔᲪᲜᲔᲜ ᲛᲝᲛᲫᲘᲚᲘ ᲡᲝᲛᲮᲘᲗᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲜᲘᲗᲐᲜ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲓᲜᲜ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ-ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲠᲘᲨᲘᲡᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲐᲛᲔᲑᲘ.

□ ᲤᲝᲗᲝᲗᲘ. აქ მოიწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა შ. წუწუნავამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 27 ივლისის დადგენილება — სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“.

მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებები: „პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დაგეგმვა“, „აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა შერჩევა და მათთან მუშაობა“, მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო და პროპაგანდის განყოფილებათა გამგეები ს. გვასალია და ი. დოლბაია. („კომ“. კორ.).

□ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲮᲐ-ᲑᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲐᲬᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ — ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲒᲔᲑᲛᲐ Ა. ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐᲛ, Დ. ᲭᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔᲛ, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲒᲔᲑᲛᲐ Შ. ᲥᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲛ, Გ. ᲑᲣᲚᲔᲘᲐᲛ, Თ. ᲓᲝᲚᲝᲒᲝᲕᲐᲛ, Ნ. ᲝᲜᲘᲙᲐᲫᲔᲛ, ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲛ ᲛᲓᲒᲘᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲗᲐᲗᲝᲑᲘᲠ-ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲙᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲕᲜᲘᲡ Შ. ᲙᲐᲯᲐᲣᲠᲘᲫᲔᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ Გ. ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ Ა. ᲓᲔᲕᲘᲫᲔ ᲛᲝᲮᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘᲗ: „ᲡᲙᲙᲞ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“, „ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ“, „ᲡᲙᲙᲞ ᲬᲔᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, „ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, „ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲕᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ-ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ“, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲔᲕᲠᲝ ᲨᲔᲡᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

□ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). 26 სამრეწველო საწარმოდან რუსთავში გეგმას ვერ ასრულებს მხოლოდ ოთხი. ამ დღეებში პარტიის საქალაქო კომიტეტი დაინტერესდა გაერკვია ამ საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზები, და საკითხი საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილა.

როგორც აღინიშნა, ქიმიური კომბინატის, ლითონკონსტრუქციების ქარხნისა და ხის დამამუშავებელი კომბინატის ჩამორჩენის მთავარი მიზეზები ის არის, რომ ამ საწარმოებში ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა, ირღვევა ტექნოლოგიური რეჟიმები, გაბედულად არ ინერგება ახალი ტექნიკა, ფორმალურ ხასიათს ატარებს სოციალისტური შეჯიბრება.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მიიღო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს აღნიშნულ საწარმოთა მიერ სახელმწიფო დავალებათა შესრულებას, წარმოების ეფექტურობის ზრდას.

□ მესტია. პარტიის მესტიის რაიკომის ბიურომ მოისმინა ლახამულისა და ნაკის სასოფლო საბჭოებში შშრომელთა კინომომსახურების საკითხი. ბიუროზე აღინიშნა, რომ ამ სასოფლო საბჭოებში მეორე წელია მაყურებლები მოკლებული არიან კინომომსახურებას. სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებმა და ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა გააჯანსრეს რაისაბჭოს აღმასკომის სხდომისა და პარტიის რაიკომის ბიუროს მითითების შესაბამისად სასოფლო კლუბებთან კინოსადგურები მოწყობა.

კინომომსახურებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის რაიკომის ბიურომ ნაკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ი. ანსიოს გამოუცხადა სასტიკი საყვედური. ბიურომ დასახა ქმედითი ღონისძიება ლახამულისა და ნაკის სასოფლო საბჭოებში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. („კომ.“ კორ.).

□ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲔ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲑᲐ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲔᲨᲘ, ᲛᲝᲚᲘᲗᲝᲨᲘ, ᲑᲝᲠᲘᲗᲝᲡ ᲓᲐ ᲫᲔᲪᲮᲚᲨᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲗᲐᲗᲝᲑᲘᲠ-ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲙᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲕᲜᲘᲡ Შ. ᲙᲐᲯᲐᲣᲠᲘᲫᲔᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲗᲐᲗᲝᲑᲘᲠ-ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲙᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 13 მარტის ბრძანებულებით პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხელგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდა წლეთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდა ამხ. ᲜᲔᲚᲘᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡᲐ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲢᲐᲠᲐᲨᲘ — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘ�გᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

რემონტი ჭიანურდება

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ Უ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘ

ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ ამას წინათ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტის ვლ. ძმედლიშვილის კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო ის ნაკლოვანებები, რაც წითელწყაროს რაიონის ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობას ჰქონდა საგაზაფხულო სამუშაოების ტექნიკის მზადების საქმეში.

კორესპონდენცია განხილა პარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიუროს და დასახა საქმიანი ღონისძიება. მასში ვკითხულობთ: წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად სწორია, რაიონის ცალკეულ მეურნეობებში გარკვეული ნაკლოვანებებია ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთების საქმეში. რაიკომის ბიურომ რემონტის საქმეში ჩამორჩენილ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს მოუთითა და მდგომარეობის გამოსასწორებლად მიიღო დადგენილება. ამჟამად რაიონში ტრაქტორებისა და იარაღ-მანქანების რემონტი დამთავრებულია, ზოგან თესვა დაიწყო. მანქანები კარგად მუშაობენ.

ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲠᲓᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲡᲢᲐᲠᲘᲐᲜᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ

„ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ“ 8 მარტს, გილოცავთ სკკპ წევრობის კანდიდატად მიღებას. გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას ჩვენი კოლექტივის, სამშობლოს საკეთილდღეოდ. ფაბრიკის აღმინისტრაცია, პარტიული კომიტეტი, საფაბრიკო კომიტეტი, კომკავშირის კომიტეტი“.

ეს მისალოცი ბარათი დებმა ტასო და ლუბა მაჩაიძეებმა 7 მარტს მიიღეს, სწორედ იმ დღეს, როცა გოგონები სკკპ წევრობის კანდიდატები გახდნენ...

თბილისის კამოლური დართვის ფაბრიკა. აქ სართავ საამქროში ხუთი წლის წინათ, თბილისის 36-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ ახალბედა მრთველები ტასო და ლუბა მაჩაიძეები. მოვიდნენ და ყველა გააკვირვეს, რამდენიმე დღეში გამოცდილი მრთველების გვერდით დამოუკიდებლად დაიწყეს მუშაობა, აქამდე უცხო სართავ მანქანებს საოცრად მალე აუღეს ალღო და პირველსავე დღეებში ცვლის ნორმები ადვილად დაძლიეს.

განვლო ცოტა ხანმა. დებმა მაჩაიძეებმა გაფართოეს მომსახურების ზონა, 300 თითისტარის ნაცვლად 400 თითისტარს ემსახურებოდნენ. ეს უკვე ბევრს ნიშნავდა. თითისტართა ამ რაოდენობის მომსახურება ხშირად გამოცდილ მრთველებსაც კი უჭირდათ.

— მე და ლუბა, — გვიამბობს უფროსი და ტასო, — ვგრძნობდით, რომ მეტის გაკეთება შეგვეძლო, მაგრამ გამბედაობა არ გვყოფნდა სამუშაო ზონის გაფართოების მომავალი განზრახვა გაგვიმეღავნებინა, ჯერ კიდევ არ ვიყავით დარწმუნებული ჩვენს შესაძლებლობებში. მაგრამ ერთხელ, როცა შინ ვბრუნდებოდით, ლუბამ მითხრა, თუ წყვეტიანობის სწრაფად აღმოფხვრას დავეუფლებით, 600 თითისტარსაც ვგავდებითო. ლუბას წინადადება საინტერესო მეჩვენა. მართლაც, ერთადერთი მთავარი მიზეზი, რაც ჩვენს მუშობას ასე თუ ისე აფერხებდა, ძაფის ხშირი წყვეტიანობა იყო. ამ დეფექტის გამოსწორებაზე ცვლაში საშუალოდ 20 წუთს მაინც ვკარგავდით, რადგან სრულყოფილად არ ვფლობდით ძაფის გადაბმის არც ისე რთულ პროცესს.

— ძაფის გადაბმა ძნელი არ არის, — განაგრძობს უფროსი დის საუბარს უმცროსი, — მაგრამ ხანგრძლივი ვარჯიში სჭირდება, რომ ხელი გაიწაფოს და ნაკლები დრო დაკარგო. ამიტომ ჩვენ კარგახანს „ვწვალობდით“, ეცდილობდით მიგვეღწია იმისათვის, რომ ერთდროულად შეგვეძლებოდა თითისტარის ბრუნვის შეჩერება და ძაფის გადაბმა.

როცა წყვეტიანობის აღმოფხვრის დრო მინიმუმამდე შეამცირეს, დებმა მაჩაიძეებმა უკვე 600 თითისტარზე მუშაობა სცადეს და სქმეს გაუძღვნენ კიდეც. პირველსავე დღეს თვითეულმა მათგანმა 35 კილოგრამზე მეტი სუფთა შალის ზეგეგმითი ძაფი გამოუშვა. შემდგომში მათ მანქანის მცირე შეფერხებების აღმოფხვრაც ისწავლეს და მარტო სამუშაო დროის ეკონომიით ცვლაში 5-10 კილოგრამით გადიდეს ძაფის გამოშვება.

— სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მზია არათანაშვილის ინიციატივამ, რომელიც ხუთი დღის დავალების ოთხ დღეში შესრულებას ითვალისწინებდა, ძალიან დაგვაინტერესა, — ამბობენ ნოვატორი მრთველები, — მაგრამ პირველად ძნელად შესასრულებელ დავალებად გვეჩვენა. მერე კი, როცა მზია არათანაშვილის მუშაობის გამოცდილებას გავეცანით, და ჩვენც ვისწავლეთ რთვის დროს მანქანის მუშაობის რეჟიმის, თითისტრების ბრუნვის სიჩქარის საკითხებისამებრ შეცვლა, ცვლის დავალების შესრულების მაჩვენებელი შესამჩნევად გაიზარდა.

— მარტო ეს როდია ამ ახალგაზრდა მრთველების დამსახურება. საამქროს ბევრმა მრთველმა მათი მაგალითისამებრ დაიწყო [illegible] მუშაობა, თანდათან გაფართოვდა „600-თითისტრიანთა კლუბი“, — თქვა ჩვენთან საუბარში ფაბრიკის დირექტორმა ნ. ხუციშვილმა, — ახლა 600-600 თითისტარს უმსახურებიან მრთველები მერი ბოქსაძე, გულნარა იცადაძვილი, ვერა წერეთელი, გულნაზი გიორგაძე, დალი მარიამიძე, ელისაბედ [illegible] ბევრი სხვა მოწინავე [illegible] ... ასეთ [illegible] ... ამ [illegible] ... ეს [illegible] ... ეს [illegible] ... ეს

ᲓᲙᲙ

გამოსათხოვარი პარადი

13 მარტი. (საკდესი). აქ გაიმართა ინდოეთის ჯარების გამოსათხოვარი პარადი, რომლებიც ტოვებენ მეგობარი ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ფარგლებს.

ამრიგად, მთავრდება ეტაპობრივი გაყვანა ინდოეთის ჯარებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საომარ მოქმედებაში ბანგლადეშის ტერიტორიაზე.

პარადი მიიღეს ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა შეიხმა მუჯიბურ რაჰმანმა და ინდოეთის გაერთიანებული შეიარაღებული ძალებისა და ბანგლადეშის განთავისუფლების რაზმების მთავარსარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ჯორამ.

მიესალმა რა მომავალ ინდოეთის ჯარებს, მუჯიბურ რაჰმანმა აღნიშნა მათი დიდმნიშვნელოვანი როლი ბანგლადეშის ხალხის ბრძოლაში ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲘ მოვიდოგბიანი განვითარების გზით

13 მარტი. (საკდესი). ერაყში ქურთთა პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების მეორე წლისთავთან დაკავშირებით საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა ერაყის ზოგიერთ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს გამოეთქვათ აზრი, თუ რა მნიშვნელობა აქვს 1970 წლის 11 მარტის შეთანხმებას, რომელმაც ბოლო მოუღო არაბთა და ქურთთა სისხლისმღვრელ შეტაკებებს.

მარტის შეთანხმებით, განაცხადა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის სრულიად არაბეთის ხელმძღვანელობის წევრმა აბდელ ჰალეკ ას-სამარაიმ, დაიწყო ახალი ეტაპი ერაყელ არაბთა და ქურთთა ცხოვრებაში, ქვეყნის მშვიდობიანი დემოკრატიული განვითარების ეტაპი.

ჩვენ გიღწვით მტკიცე და ურყევ საფუძველზე არაბთა და ქურთთა ძმობის განმტკიცებისათვის, თქვა ას-სამარაიმ, რადგან დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ არაბთა, ქურთთა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების საერთო ამოცანაა.

ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროს წევრმა მუჰამედ მაჰმუდ აბდელ რაჰმანმა გამოთქვა რწმენა, რომ შეთანხმების პირობების განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქურთების, ისე მთელი ერაყელი ხალხის მომავლისათვის. ვიმედოვნებ, რომ წარმატებით დაგვირგვინდება ყველა პატიოსანი ადამიანის მეცადინეობა, რომლებსაც სურთ ამ შეთანხმების რაც შეიძლება მალე განხორციელება.

ერაყის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა აზიზ მუჰამედმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერაყელი კომუნისტები ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ ქურთთა პრობლემას. სწორედ კომპარტიამ განაცხადა, რომ ქურთისტანის ავტონომია ერაყის რესპუბლიკის ფარგლებში ქურთთა საკითხის ყველაზე სწორი გადაწყვეტაა, არაბთა და ქურთთა მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის, სოციალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი ერთიანობის განმტკიცების გზაა.

ამიტომ ერაყის კომპარტიამ არა თუ მოიწონა და მხარი დაუჭირა მარტის შეთანხმებას, არამედ აგრეთვე განაცხადა, რომ მზად არის ყოველი ღონე იხმაროს მისი სრული განხორციელებისათვის.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲩᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

პარიზი. 13 მარტი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარიზის საელჩოში გაიმართა ამერიკისა და ჩინეთის ელჩების პირველი შეხვედრა, რომელიც შანხაის კომუნიკეთია გათვალისწინებული.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲐᲨᲘ

13 მარტი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგაზეთოს კორესპონდენტი იუწყება პნომპენდიდან, სირიკ მატაკმა გამოაცხადა კამბოჯის მთავრობის დათხოვნა.

მან თქვა, რომ „ახალი კაბინეტის შედგენამდე შეასრულებს პრემიერ-მინისტრის მოვალეობებს". მანამდე ორი დღით ადრე, როგორც საავენტო აღნიშნავს, „კამბოჯის სახელმწიფო მეთაურმა ჩენგ ჰენგმა გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს გადადგეს და ლონ ნოლს დაუთმოს თავისი ადგილი".

ცნობა ჩენგ ჰენგის გადადგომის შესახებ გამოქვეყნდა ლონ ნოლის გადაწყვეტილებასთან ერთად დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ.

პნომპენში მღელვარებაა. იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგაზეთოს ცნობაში აღნიშნულია, რომ გაიმართა სირიკ მატაკის წინააღმდეგ მიმართული სტუდენტთა დემონსტრაციები.

ᲨᲐᲜᲮᲐᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ

ნიუ-იორკი. 13 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში ხერიოზულ შეშფოთებას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი აგრესიული აქციები ინდოჩინეთში.

მიღებული ცნობების მიხედვით, საგონის მარიონეტულმა არმიამ დაიწყო „ფართო შეტევა კამბოჯის ტერიტორიაზე". ამ ოპერაციაში მონაწილეობენ ქვეითი ჯარის 50 ბატალიონი და 200 ტანკი, რომლებსაც მხარს უჭერენ მოპიკრეობმბდამშენები და საბრძოლო ვერტმფრინაველები.

ამავე დროს ამერიკის ავიაცია, რომელსაც ბაზები აქვს ხმელეთის აეროდრომებსა და მე-7 ფლოტის ავიამზიდებზე, განაგრძობს მასიურებულ თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

აქ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მტკიცებებს, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის „იუშაოს სამართლიანი და მყარი მშვიდობისათვის", რომლებსაც ამერიკა-ჩინეთის კომუნიკე შეიცავს, უარყოფს მოვლენათა მსვლელობა. ეს ნათქვამია სახალხო ერთიანობის პოლიტიკური კომიტეტის განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა იმასთან დაკავშირებით, რომ გაძლიერდა რეაქციის გამოხდომები სახალხო მთავრობის საქმიანობის წინააღმდეგ.

როგორც ვიუწყებოდით, რამდენიმე დღის წინათ მთავრობამ განახორციელა ორი უდიდესი საწარმოს — საფეიქრო ფაბრიკა „კომანდარისა" და ლაქ-საღებავების ფაბრიკა „სერესტის" ექსპროპრიაცია იმის გამო, რომ მათი მფლობელები საბოტაჟს ეწეოდნენ, არ უშვებდნენ პროდუქციას, ტოვებენ ქვეყანას.

ᲙᲐᲘᲠᲝ

მეგობრობის საღამო

13 მარტი. (საკდესი). საბჭოთა კულტურულ ცენტრში გაიმართა საქართველოს სს რესპუბლიკისადმი მიძღვნილი არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამო.

პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში შეკრებილი კაიროს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელები გულთბილად მიესალმნენ საქართველოს წარმომადგენლებს, რომელიც საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში აღნიშნავს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

საღამოს დასასრულს, რომელიც სსრ კავშირისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ხალხთა მზარდი მეგობრობისა და თანამშრომლობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა, დიდი საკონცერტო პროგრამა წარმოადგინა საქართველოს ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „ივერიამ", რომელიც აქ გასტროლებზე იმყოფება. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ამ ანსამბლს.

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ

მემარჯვენეთა საბოტაჟის წინააღმდეგ

13 მარტი. (საკდესი). „ჩილეს მთავრობის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია თავიდან აიცილოს ეკონომიური საბოტაჟის ყველა ცდა, სავსებით შეესაბამება ქვეყნის კანონებს, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც ცალკეული საწარმოების, ისე ქვეყნის მთელი ეკონომიკის ნორმალურ მუშაობას".

ეს ნათქვამია სახალხო ერთიანობის პოლიტიკური კომიტეტის განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა იმასთან დაკავშირებით, რომ გაძლიერდა რეაქციის გამოხდომები სახალხო მთავრობის საქმიანობის წინააღმდეგ.

როგორც ვიუწყებოდით, რამდენიმე დღის წინათ მთავრობამ განახორციელა ორი უდიდესი საწარმოს — საფეიქრო ფაბრიკა „კომანდარისა" და ლაქ-საღებავების ფაბრიკა „სერესტის" ექსპროპრიაცია იმის გამო, რომ მათი მფლობელები საბოტაჟს ეწეოდნენ, არ უშვებდნენ პროდუქციას, რათა ხელოვნურად შეექმნათ საქონლის ნაკლებობა.

მთავრობის გადაწყვეტილებას მხურვალედ დაუჭერეს მხარი ჩილელმა მშრომელებმა. ამ დღეებში მთელ ქვეყანაში ეწყობა მიტინგები და კრებები,

ხალხის ერთიანი მოქმედების მოძრაობის ხელმძღვანელობამ გადაჭრით დაგმო მემარჯვენე ძალების ცდები — ხელი შეუშალონ სახალხო ერთიანობის მთავრობას.

მთავრობას და მის ეკონომიურ პოლიტიკას მხარი დაუჭირა „სახალხო-სოციალისტური კავშირის" პარტიამ.

ᲠᲝᲛᲘ

სრული წარმატება

13 მარტი. (საკდესი). საბჭოთა სპორტული ფილმების გამარჯვებით დამთავრდა 28-ე საერთაშორისო კინოფესტივალი კორტინა დ' ამპეცოში. ეიურომ ერთსულოვნად მიაკუთვნა (მეოთხედ) უმაღლესი ჯილდო — „გრან პრი" საბჭოთა კავშირის სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის მიერ წარგზავნილ ფილმების პროგრამას. სულ ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 24 ქვეყნის 121 კინოსურათი.

აი თერმეტი „ოქროს" ფილმი: „ეს სპორტია!", „ჩემპიონატი მინსკში" (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია), „მძლეოსნობა", „მიზანი" (მეცნიერულ-პოპულარული ფილმების ცენტრალური სტუდია), „ქართული ჭიდაობა" (საქართველოს სტუდია), „რომ დაიმორჩილო მოტრობა", „ტყვიის ბუერი" (კიევის მეცნიერული ფილმების სტუდია), „სად არის დედოფლის ოქრო?" (ლატვის კინოსტუდია), „დამაცადე" (მულტიპლიკაციური ფილმების საკავშირო სტუდია), „ეს საოცარი სპორტი" (ტელეგაერთიანება „ეკრანი"), „ყველაზე პატარა ბუერი" (კუიბიშევის სტუდია).

ᲐᲠᲛᲘᲐ ᲘᲮᲠᲬᲜᲔᲑᲐ

13 მარტი. (საკდესი). საიგონის რეჟიმის არმიის გახრწნა არასოდეს არ ყოფილა ისეთი შესამჩნევი, როგორც გასულ 1971 წელს.

ჯარისკაცებს არ სურთ მონაწილეობდნენ სამხრეთ ვიეტნამის „დაშშინების" ოპერაციებში, აგრესიაში ლაოსისა და კამბოჯის წინააღმდეგ, რაც იმით გამოიხატა, რომ იყო 2.730 შემთხვევა, როცა სხვადასხვა ქვეგანაყოფმა კოლექტიური უარი განაცხადა სარდლობის ბრძანებათა შესრულებაზე. ამას იუწყება განთავისუფლების პრესის სააგენტო.

ამბოხებანი არმიაში თითქმის განუწყვეტლივ და ყველგან ხდებოდა.- ამ გამოსვლების დროს მეზობლიდან გამოიყვანეს 5 ათასამდე ამერიკელი და საიგონის რეჟიმის სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ ჯარისკაცთა მღელვარების ჩასაქრობად.

ბრძოლის ველზე ამერიკელ-ჯარისკაცებმა ბევრი ადგილობრივი ტერიტორიის „დაშშინების" ოპერაციებში, აგრესიაში ლაოსისა და კამბოჯის წინააღმდეგ, ეროვნული ფრონტის ბრძოლა ეროვნული გამოთავისუფლებისათვის.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი. 13 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში ხერიოზულ შეშფოთებას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი აგრესიული აქციები ინდოჩინეთში.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲞᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲗᲐ ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲘ ▢ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲘᲜᲯᲕᲐ ▢ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲐᲛ ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲐᲠᲛᲘᲐ ᲘᲮᲠᲬᲜᲔᲑᲐ

საქართველოს ჟთა-ბაჯში

ქართველი სტუდენტები საუკეთესოთა შორის არიან

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეჯამა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის 1970-1971 სასწავლო წლის სრულიად საკავშირო კონკურსის შედეგები.

კონკურსში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის ოთხმოცამდე სტუდენტი. თორმეტი ნაშუშევარი დასახელებულია საუკეთესოთა შორის.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მედლით „სტუდენტთა საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის“ დაჯილდოდა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ნ. ანდრონოვსკი. მისი ნაშრომის თემა „მეიერხოლდი და ბლოკი (შემოქმედებითი ურთიერთობის საკითხისათვის“).

ქართველ სტუდენტთა მთელ რიგ ნაშრომებს მიენიჭა სამინისტროს სიგელები. მათ შორის არის „ახალაღმოჩენილი ძეგლი თბილისის ადა-ციხის ციტადელში“ (ნაშრომის ავტორები არიან თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები თ. კიპაროიძე, ი. ელიზბარაშვილი და დ. თუმანიშვილი), საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტის ი. თუხარელის ნაშრომი „მეიერხოლდი საქართველოში“, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის სტუდენტის ლ. ჩხეტიის ნაშრომი „ღორის ღვიძლის განვითარების საკითხისათვის ემბრიონალურ ონტოგენეზში“.

სიგელით დაჯილდოდა ავრეთვე საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი ნ. შალუტაშვილი — კონკურსზე მედლით დაჯილდოებული სტუდენტის მეცნიერული ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მადლობა გამოუცხადა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს ო. წიწილაშვილს ნაშრომისათვის „ფუნდამენტური ფილების გაანგარიშების საკითხისათვის“ და ამავე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს ა. წიკლაურს, ე. კიტაშვილს, რ. ხაჯალიას, ე. რეხვიაშვილსა და დ. ინასარიძეს, რომლებმაც შექმნეს მიკროავტობუსი რთული რელიეფის მქონე ქალაქის პირობებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ შედალი და სიგელები გადასცა სტუდენტებს და გულთბილად მიულოცა წარმატება. (საქინფორმი).

ᲓᲐᲡᲬᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜ ᲓᲔᲓᲔᲑᲡ

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ). ქალაქში ახლა 405 მრავალშვილიანი დედა ცხოვრობს, მათ შორის ხუთს მინიჭებული აქვს გმირი დედის საპატიო წოდება. მარტო გასულ წელს მრავალშვილიან დედებს მუდმივი და ერთდროული დახმარების სახით მიეცათ 62.095 მანეთი.

ბევრმა მრავალშვილიანმა დედამ სახელმწიფოსაგან ათასობით მანეთი მიიღო. რვა შვილის დედამ ე. ხულაქველიძემ სახელმწიფოსაგან მიიღო 2.414 მანეთი, ხოლო შვიდი შვილის დედამ ვ. რუხაძემ — 1.799 მანეთი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.). ამ დღეებში სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრიდან დაშორებულ ეკის უბანში გაიხსნა ახალი ბიბლიოთეკა.

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ᲔᲥᲕᲡᲘᲛᲝᲓᲔ წლის წინათ, 1966 წლის 11 ივნისს გაზეთი „კომუნისტი“ ვრცლად მოუთხრობდა მკითხველს ზუგდიდელი ქალიშვილის ნათელა ნარმანიას ბედზე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მიჯაქვული იყო ლოგინზე — კიდურების დამბლის გამო სიარული არ შეეძლო.

ზუგდიდის რაიონულ გაზეთი „მებრძოლის“ რედაქციის მუშაკები დაინტერესდნენ მისი ბედით და გადაწყვიტეს დახმარებოდნენ მას. „მებრძოლის“ რედაქციამ 14 წლის გოგონას ავადმყოფობაზე მისწერა გაზეთ „პრავდას“ და სთხოვა დახმარება აღმოეჩინათ მისთვის, ეკრნალა, სად შეიძლებოდა ემკურნალა. „პრავდის“ რედაქციაში დიდი გულისხმიერებით მოეკიდნენ ამ თხოვნას, და მალე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ნათელა სამკურნალოდ გაგზავნა ნეხოსოლოვაიის ქალაქ ანსაკენ ლაზნში. ერთი წლის შემდეგ იგი განკურნებული დაბრუნდა სამშობლოში. მას მკურნალობდა იოზეფ ბაზალა, რომელმაც შემდეგ საქართველოშიც მოინახულა თავისი პაციენტი.

ნათელა ნარმანიაზე ზრუნავა გაზეთი „მებრძოლის“ რედაქციას ამით არ დაუთავრებია. მას დაეხმარნენ, რათა განკურნების შემდეგ სწავლა განეგრძო. ნათელამ საექსტერნო წესით დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი ზუგდიდის საფერშლო ტექნიკუმი და ექიმის თანაშემწის ქალთა ხალათით გვერდზე ამოუდგა თავის მხსნელ მედიკოსებს — ექიმის თანაშემწე გახდა.

ამჟამად ის რაიონული საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში მუშაობს ექიმის თანაშემწედ. მისი უშუალო ხელმძღვანელია გამოცდილი მკურნალი საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი პეტრე უბერი.

ბ. აბულაძე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი პეტრე უბერი და ექიმის თანაშემწე ნათელა ნარმანია.

ფოტო ჯ. ᲧᲣᲨᲣᲜᲘᲐᲜᲘ.

ᲔᲡᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თბილისის მხატვარ ქალთა ტრადიციული გამოფენა. იგი ეძღვნება ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს. გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ.

დარბაზში გამოფენილია 70 მხატვრის 90-მდე ნამუშევარი ფერწერის, გრაფიკისა და გამოყენებითი ხელოვნების დარგებში.

გამოფენაზე წარმოდგენილი არიან: რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე ო. დივნოგორცევა-გრიგოლია, ნ. კანდელაკი, თ. გუგუშვილი, ლ. სვანიძე, ნ. ფოფხაძე, მ. თუშმალიშვილი, ელ. მაყაშვილი, ე. ბეშინსკაია, ე. გრიგოლია, ნ. მაყაშვილი, ი. ოცხელი და სხვა მხატვარი ქალები.

დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს ლ. სვანიძის ორი ნამუშევარი — „იალქნები“ და „ცისფერი დღე“, ე. მაყაშვილის „ქსენია ბახტაძის პორტრეტი“, ო. დივნოგორცევა-გრიგოლიას „ნატიურ-მორტი“, ნ. მაყაშვილის „კოლმეურნის პორტრეტი“ და სხვ.

გამოფენა თვის ბოლომდე გასტანს.

პ. ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲘᲚᲔᲕ ᲗᲝᲕᲒᲘ. ᲤᲝᲢᲝ Ხ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲛᲐᲠᲗᲘ ᲭᲘᲠᲕᲔᲣᲚᲝᲑᲡ

ᲗᲝᲕᲒᲡ მთელ საქართველოში: ბაკურიანში, წალკაში ნახევარ მეტრზე მეტი თოვლი დადო, ქართლისა და კახეთის ველ-მინდვრებში თოვლის საფარი 10-15 სანტიმეტრს შეადგენს, თეთრად შეიმოსა დასავლეთ საქართველოს მთა-ბარი, ხულოში თოვლის საფარის სიმაღლე 70 სანტიმეტრს უდრის, სოხუმში — 26, საქარაში — 18 სანტიმეტრს.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის შეკითხვაზე — თუ რამ გამოიწვია ამინდის ასეთი შეცვლა, თბილისის ამინდის ბიუროს უფროსმა ინჟინერ-სინოპტიკოსმა ნადეჟდა ᲫᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ გვიპასუხა:

— საერთოდ გაზაფხულისათვის დამახასიათებელია ცივი და თბილი ჰაერის მასების ხშირი შეხვედრა, რაც იწვევს ხან დათბობას, ხან კი აცივებას. ამჟამად მძლავრი ანტიციკლონი, რომელიც შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებშია, ვრცელდება ჩვენი რესპუბლიკისაკენ. ჰაერის ეს მასა ცივია, ამავე დროს სამხრეთიდან საქართველოს ტერიტორიისაკენ მოემართება თბილი ჰაერი. ცივი და თბილი ჰაერის მასების შეხვედრის ზონაში წარმოიქმნება ამინდის არამდგრადობა, რაც იწვევს ნალექს, ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელდება, მალე ისევ დათბება.

როგორი ამინდი გვეკნება ᲓᲦᲔᲡ, 14 მარტს? ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, თოვა, ალაგ-ალაგ ძლიერი, ბარში დღისით იქნება ნული-3 გრადუსი სითბო, ღამით ნული-4 გრადუსი ყინვა, მთაში დღისით 1-6, ღამით 5-10 გრადუსი ყინვა.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ თოვა და ნისლია მოსალოდნელი, მტკვრის ხეობაში იქროლებს წამში 7-12 მეტრის სიძლიერის ქარი, ბარში დღისით იქნება 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, მთაში დღისით 5-10, ღამით 10-15 გრადუსი ყინვა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დღით მცირე თოვა, ჩრდილო-დასავლეთის ზომიერი ქარი, დღისით 1-2 გრადუსი სითბო, ღამით 2-4 გრადუსი ყინვა.

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲡ ქვეყანაში დამნაშავეობასთან ბრძოლა უწინარეს ყოვლისა დანაშაულის პროფილაქტიკასა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელებას გულისხმობს.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შორის ერთერთი მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი რეაგირების მაღალი ორგანიზაცია.

მართალია, უკანასკნელ დროს ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში საგრძნობლად გააქტიურდა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება კანონით დადგენილი ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ პროკურატურამ ზედამხედველობის წესით შეამოწმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობის სამინისტროს და მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში თუ როგორ სრულდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 აგვისტოს დადგენილება „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების გაძლიერების შესახებ“.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ზემოაღნიშნული სამინისტროების სისტემაში შეშავალ საწარმოებში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ყველა შესაძლებლობა, ნაკლებად აქცევენ ყურადღებას პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებას სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზნით, არ წარმოება დამნაშავე პირთა ანტისაზოგადოებრივი საქციელის განხილვა და დაგმობა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, თავს არიდებენ დამნაშავეთა საქმეების ამხანაგური სასამართლოებისათვის გადაცემას.

ახალქალაქის ავტოსატრანსპორტო საწარმოს და საბჭოთა მეურნეობების დირექციები, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები არასაკმარის მუშაობას ეწევიან სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად. რაიონის არც ერთი საბჭოთა მეურნეობის დირექციის ან პროფკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით ერთხელაც არ ჩაატარებულა ღონისძიებები სამართალდარღვევათა აცილების საკითხებზე, აქ არ განიხილავენ ადმინისტრაციული ორგანიზაციებიდან გადმოგზავნილ მასალებს და ფაქტებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც შემჩნეული არიან ლოთობაში, ხულიგნობასა და უწესო ქცევაში. ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებიდან გადაგზავნა მასალები მისი მუშების ე. მერაბიანის, ა. ავეიანის, ბ. ჯორუკიანის, ა. ქეშიშიანის და ა. პაპიკიანის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წვრილმანი ხულიგნობისა და უწესო ქცევის შესახებ.

აღნიშნულ შეტყობინებებზე საბჭოთა მეურნეობის დირექციას არ უმსჯელია და დამრღვევი პირისათვის 15 დღით პატიმრობა. მაგრამ არც ეს ფაქტი ჯამხდარა კოლექტივის მსჯელობის საგანი.

სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტებს მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე არ განიხილავენ ადიგენის, ასპინძის, ბოლნისის, ვანის, კასპის, ლაგოდეხის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, ხობის, წალენჯიხის, ჩიხოტაურის, ცხინვალის რაიონების, ქ. რუსთავის, ქ. ბორჯომის ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ცხინვალის ავტოშემკეთებელი ქარხნის მუშა ა. გიბოზოვი 1971 წლის 15 აპრილს სამართალდარღვევისათვის დასჯილ იქნა ადმინისტრაციული წესით, რაც ცნობილი იყო ქარხნის ადმინისტრაციისათვის. მიუხედავად ამისა, მის მიმართ არავითარი ზომა არ მიუღიათ, ხოლო 25 აპრილს მას ფულადი პრემიაც კი მისცეს.

ადმინისტრაციისათვის მინიჭებული უფლება პრემიების ან დასასვენებელი სახლების და სანატორიუმების შეღავათიანი საგზურების გაცემის შეზღუდვისა თითქმის არ არის გამოყენებული საქართველოს არც ერთ ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და საბჭოთა მეურნეობაში.

როგორც აქ მოყვანილი ფაქტები ცხადყოფენ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროო და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებში სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და დანაშაულობათა პროფილაქტიკისათვის. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება შეუწყნარებელია. სოციალისტური კანონიერების დაცვა, დანაშაულის და სამართალდარღვევის თავიდან აცილებისათვის ბრძოლა, აგრეთვე სამართალდამრღვევთა მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარება ყველა სამინისტროს, უწყების, მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების უშუალო მოვალეობაა — და მათ ყოველდღიურ საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს.

ᲗᲘᲛᲣᲠᲘ ᲯᲘᲠᲙᲕᲐᲚᲘᲫᲔ,
საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი.

ᲙᲐᲜᲝᲜᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲐᲕᲓᲔᲡ

ᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲒᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲜᲓᲘᲡᲛᲫᲘᲠᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲖᲐᲠᲬᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲪᲙᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲐ ᲐᲠᲡᲔᲜ ᲛᲔᲯᲝᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ.

ᲐᲠᲡᲔᲜ ᲛᲔᲯᲝᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲘ ᲕᲐᲚᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ფალავანი — საქართველოს მრავალგზის, სსრ კავშირის თვრამეტგზის, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი არსენ მეჯოკიშვილი.

ა. მეკოკიშვილი დაიბადა 1912 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ჩვიდმეტი წლისა იყო, შრომითი საქმიანობა რომ დაიწყო — მუშაობდა მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში ჯერ რიგით წევრად, შემდგ ბრიგადირად.

1934 წელს არსენ მეკოკიშვილი პირველად წარსდგა ქართული ჭიდაობის მოყვარულთა ფართო საზოგადოების წინაშე, — მონაწილეობა მიიღო საქართველოს ახსოლუტურ პირველობაში. ვერ გაუძლეს ახალბედა გოლიათს იმ დროს ცნობილმა მოჭიდავეებმა — არსენმა რესპუბლიკის ფალავნის სახელი დაიმკვიდრა.

1939 წელს ა. მეკოკიშვილი, უკვე რესპუბლიკის ოთხზის ახსოლუტური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, მონაწილეობს მოსკოვში სპორტსმენთა დიდ საკავშირო ზეიმზე გამართულ მოჭიდავეთა ტურნირში და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელს იხვეჭს სამბოში.

გოლიათის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ტიტული არსენ მეკოკიშვილმა მრავალ წელს ატარა.

1952 წელს სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ორმოცი წლის არსენ მეკოკიშვილი გამოვიდა ახპარეზზე — მონაწილეობა მიიღო ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში. აქ თავი მოიყარეს მსოფლიოს უძლიერესმა ათლეტებმა, რომელთა შორის იყო დაუმარცხებელი — „ჩრდილოეთის გიგანტი“, მსოფლიოს ჩემპიონი ბერტილეს ანტონსონი.

ქართველმა გოლიათმა ამ შეჯიბრებაში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია. ზედიზედ დაამარცხა ბულგარელი ჰუსეინ მეხმედოვი და უნგრელი კოვაჩი, იტალიელი ვეკი და ინგლისელი ვიჩმანდი, ფინალში სძლია ანტონსონს და გამარჯვებულას კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ორი წლის შემდეგ არსენ მეკოკიშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უძლეველობა. 42 წლის ფალავანი ტოკიოში ჩასულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვება მოიპოვა ისეთ აღიარებულ მოჭიდავეებზე, როგორიც იყვნენ ფინელი ტაისტო კანგასსნიერი, უნგრელი ნოტინ ნეგენინი, თურქი ირფან ათანი და კვლავ მირტილეს ანტონსონი და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

1966 წელს არსენ მეკოკიშვილი საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის ჩემპიონის სახელს იმკვიდრებს.

არსენ მეკოკიშვილი იყო მრავალი საერთაშორისო ტურნირისა და შეხვედრის მონაწილე და გამარჯვებული. იგი სპორტს კარგად უთავსებდა სამსახურებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობას. თელავის ოთხწლიანი კურსების დამთავრების შემდეგ მუშაობდა თელავსა და თბილისში შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში.

ა. მეკოკიშვილი სკკპ წევრი იყო 1940 წლიდან.

1944 წელს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მიერ ა. მეკოკიშვილი გაწევულ იქნა მოსკოვში. იგი მრავალჯზის არჩეული იყო ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს წევრად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსკოვის ჭიდაობის ფედერაციის საქმიანობაში, მინიჭებული ჰქონდა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში.

საზოგადოებრივ და სპორტულ საქმიანობაში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის არსენ მეკოკიშვილი დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლით „კავკასიის დაცვისათვის“, სიგელებითა და დიპლომებით.

წავიდა ჩვენგან გულწრფელი მეგობარი, ჭეშმარიტი სპორტსმენი, თავმდაბალი, უანგარო, უპრეტენზიო კაცი, ჭიდაობის დიდი ქომაგი, ბევრდაუდებელი და მუხლგაუღუნავი გოლიათი, განუმეორებელი მოჭიდავე არსენ მეკოკიშვილი. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება თანამემამულეთა, ჩვენი ქვეყნის სპორტის მოყვარულთა, ქართველ ფალავანთა, მეგობრების, ამხანაგების, ნაცნობების, ახლობლების გულში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ; ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲪ ᲔᲬᲕᲘᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲘᲗ...

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲨᲐᲰᲢᲘᲝᲠᲘ“ (ყარაგანდა) 3:0 (2:0). თბილისი. 12 მარტი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი — Ფ. ᲑᲐᲑᲔᲠᲐᲛᲝᲕᲘ. (ბაქო).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გაგაშელი, კუტავაძე, მაჩაიძე, გუგაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„ᲨᲐᲰᲢᲘᲝᲠᲘ“ — ვოლკოვი, პოდლიხი, აშირბეკოვი, ვერახიმენკო, ვალკოვი, კოტოვი, ჩენცოვი, ნოვიკოვი, აბგოლცი, დავიდი, ხავჩენკო (ბუშუევი).

ამ დღეს საქმე გვქონდა მერვედფინალის პირველ ეტაპთან. დინამოელთა მეტოქენი იყვნენ ყარაგანდელი ფეხბურთელები, სწორედ ისინი, რომლებმაც სტარტზე თასიდან მინსკის „დინამო“ გამოთიშეს. „ლოკომოტივის“ სტადიონი დინამოელთათვის საკუთარი მოედანი იყო, მეორე შეხვედრა კი ყარაგანდაში 16 მარტს უნდა შედგეს. ბევრი თვლიდა, რადგან ყარაგანდის სტადიონი ჯერ კიდევ თოვლით არის დაფარული და იქ ყინვებია, შესაძლოა შეხვედრის არენა შავი ზღვის სანაპირო კურორტის რომელიმე ნეიტრალური სტადიონი გამხდარიყო. როდესაც ასეთი კითხვით მივმართეთ „ᲨᲐᲰᲢᲘᲝᲠᲘᲡ“ ხელმძღვანელობას, გვიპასუხეს, ეს მართლაც რომ ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ მეშახტეთა ამ ქალაქის სპორტის მოყვარულებს ძალიან სურთ ქართველი ფეხბურთელები, რომელთა სახელი ფართოდ არის ცნობილი, შინ იხილონონ. ისინი ხომ ჩვენთან თითქმის არასოდეს არ ყოფილან.

„დინამოს“ ფეხბურთელები 13 მარტს გაფრინდნენ ყარაგანდაში.

ახლა დავუბრუნდეთ მატჩის მსვლელობას. მართალია, თბილისელებმა წარმატებით განვლეს მერვედფინალის პირველი ეტაპი, ვიცილეთ სამი გოლი, რაც დამაჯერებელ გამარჯვებაზე მეტყველებს, მაგრამ ალბათ დაგვეთანხმებიან, რომ თვით თამაში შთამბეჭდავი არ ყოფილა. მასში ტექნიკური წუნი მეტი იყო, ვიდრე გაახრებული და დასამახსოვრებელი კომბინაციები.

მომზადების დონით, საერთო ტექნიკით სტუმრები მეტოქეს თვალსაჩინოდ ჩამორჩებიდ ნ ენ. მთელი თამაშის მანძილზე დაგვამახსოვრდა ორიოდე კონტრშეტევა, არსებითი, სახიფათო, დანარჩენ დროს კი თამაშს სტუმართა კარის მისადგომებთან ვხედავდით. თუ გავიხსენებთ იმ რეალურ შესაძლებლობებს, რომლებსაც დინამოელები ქმნიდნენ და შევადარებთ გატანილ ბურთებს, გამოყენების პროცენტი უკეთდ დაბალი იყო.

ის, რაც ბევრს დაამახსოვრდა, ეს გახლდათ გ. ნოდიას შეშტეგი, შედევრი თამაში. ორ მატჩში 6 გოლი მართლაც ჩინებულია. ეს დაახლოებით იმდენია, რაც მან შარშან მთელ ჩემპიონატში შეიძლო. ორი ბურთი გ. ნოდიამ გაიტანა პირველ ტაიმში (მე-9 და 32-ე წუთები), ხოლო მესამე (თერთმეტმეტრიანი საჯარიმო) — მეორე ნახევარში (65-ე წუთი).

მაშ ასე, მერვედფინალის პირველი წინაღობა გადალახულია, დინამოელები სამი გოლის მარაგით გაემგზავრნენ მეორე მერვედფინალისათვის. დაგელოდოთ 16 მარტის ცნობას ყარაგანდიდან.

Თ. ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, კვირასა და ორშაბათს გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების კიდევ ექვსი პირველი მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში.

ᲡᲝᲩᲘ ცენტრალურ სტადიონზე შაბათს ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის გუნდები — „ზენიტი“ და „დინამო“. წარმატება „ზენიტს“ ხვდა 2:0.

ᲐᲛᲘᲡ შემდეგ ამავე სტადიონის მოედანზე გამოვიდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა“ და ზაპოროჟეის „მეტალურგის“ გუნდები. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა.

ᲙᲘᲕᲘᲡ ოდესის „ჩერნომორეცი“ მასპინძლობდა ლვოვის „კარპატს“. აქაც 1:0. შეხვედრა ოდესელებმა მოიგეს.

ᲡᲝᲩᲨᲘ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედოსა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ გუნდები. წარმატება ტორპედოელებს ხვდათ 2:0.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ჩემპიონი კიევის „დინამო“ სიმფეროპოლში თამაშობდა დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდის წინააღმდეგ და დაამარცხა მეტოქე 1:0.

ᲒᲣᲨᲘᲜ სოჭში შედგა ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა. არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის „დინამო“. გაიმარჯვეს არმიელებმა 1:0.

ᲒᲐᲓᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ საკავშირო შეჯიბრების დებულების დარღვევისათვის გააუქმა პირველი მეთექვსმეტედფინალური მატჩის შედეგი მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და კუიბიშევის „კილია სოვეტოვის“ გუნდების შეხვედრაში. მათი ხელახალი მატჩი მოეწყო კვირას ხოსტაში და დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით 3:0. მეორე მატჩი მოსკოველებს ფრედ (1:1) ჰქონდათ დამთავრებული, ამიტომ ისინი თასის მერვედფინალში გავიდნენ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲕᲘᲜᲘᲛᲘᲡ ᲜᲘᲜ

ᲛᲝᲜᲐᲪᲠᲝᲕᲘ დასასრულს უახლოვდება პირველი საკადრაკო ოლიმპიადა. უკვე გათამაშდა ოთხი ტური. კვირას და ორშაბათს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

აი როგორია პირველ ფინალურ ჯგუფში მეტოქეთა მდგომარეობა. ლიდერობა ხელთ იგდო რსფსრ-ის ნაკრებმა, რომელსაც 28,5 ქულა აქვს. მოსკოველებს მეორე ადგილი უჭირავთ — 27,5 ქულა. მესამე ადგილზეა უკრაინა — 27 ქულა, მეოთხეზე — ლენინგრადი — 22,5 ქულა, მეხუთეზე — საქართველო — 22 ქულა, მეექვსეზე — ლატვია — 16,5 ქულა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲒᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲐᲜ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „სპარტაკმა“ კიევში დაამარცხა ადგილობრივი სკა 81:60.

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის სპორტის სასახლეში თამაშობდნენ ცსკასა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს არმიელმა კალათბურთელებმა 86:69 (38:46).

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

● **ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲨᲘ** (კანადა) დამთავრდა მსოფლიო